

## საქართველოს კანონი

**„მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1. „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“  
საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, 21-  
22) შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება:**

კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 15. გარდამავალი დებულებანი**

1. ამ კანონით გათვალისწინებული კონტროლის ღონისძიებები 2015 წლის 31 დეკემბრამდე გავრცელდეს მხოლოდ:

ა) პროდუქციის საქართველოში შემოტანისას, თუ ცნობილია, რომ პროდუქციის წარმოშობის ქვეყანაში არის მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაავადების ფაქტები, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიაზე განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო ორგანიზმების გავრცელებისას;

ბ) მეწარმის მოთხოვნის საფუძველზე, მის საკუთარ პროდუქციაზე.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*